ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2351708

ნომერი: AR1357575

თარიღი : 17.11.2015

გაცემის თარიღი : 18.12.2015

გაცნობის თარიღი : 19.12.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა 9 აპრილი , N 3 (ყოფ. ჩიტაძის N3)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაძე , N 5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 17/11/2015 წლის AR1357575 განმეორებითი განაცხადი, რომლითაც მოითხოვეთ ამავე სამსახურის 09.11.2015

წ. №2287801 ბრძანებაში ტექნიკური
შეცდომის გასწორება.

პასუხად გაცნობებთ, რომ 18.11.2015 წლის №2303143 ბრძანებით განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და განგესაზღვრათ დამატებითი 5 დღიანი ვადა, რათა წარმოგედგინათ დასაბუთებული განმარტებითი ბარათი, სადაც ცდომილების მიზეზთან ერთად მითითებული იქნებოდა ფართების სრული, გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, ექსელის ცხრილში გამოტანილი ჩაშლილი ყველა სათავსის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და საჭიროების შემთხვევაში გეგმები შესწორებული ფართების მითითებით.

ამის შემდგომ სამსახურის 14.12.2015 წლის №2343137 გადაწყვეტილებით დაგიდგინდათ განმეორებითი ხარვეზი, კერძოდ უნდა წარმოგედგინათ დასაბუთებული განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურად იქნებოდა განმარტებული თუ რა ნაწილში არის დაშვებული შეცდომა. ასევე უნდა წარმოგედგინათ მხოლოდ ის გეგმა–ნახაზები, რომელშიც მიიჩნევდით, რომ დაშვებული იყო შეცდომა, თუმცა აღნიშნული ხარვეზები გამოსწორებული არ იქნა, წარმოდგენილი გეგმა ნახაზები იდენტურია 09.11.2015 წ. №2287801 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა, შესაბამისად, გაურკვეველია თუ რა ნაწილში გსურთ 09.11.2015 წ. №2287801 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, 09.11.2015 წ. №2287801 ბრძანების შესაბამისად, თქვენი 17/11/2015 წლის AR1357575 განცხადება დარჩა განუხილველი.